თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3812273

ნომერი: AR1574440

თარიღი : 01.02.2018

გაცემის თარიღი : 08.02.2018

გაცნობის თარიღი : 08.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 85 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01008022487
- მცხეთის ქ.#1/ზ.27

ორგანიზაცია:

- მაგთიკომი კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

დამატებით წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილმდებარეობის მითითებით.

წარმოსადგენია საპროექტო ანტენებისა და დროებითი დანადგარების ესკიზური ნახაზები (გაბარიტული ზომების მითითებით) ამასათან მოგახსენებთ რომ იმ შემთხვევაში თუ საპროექტოდ გათვალისწინებული ობიექტების განთავსება ხდება უფრო დიდ ფართობზე ვიდრე ხელშეკრულებაშია მითითებული, წარმოსადგენია მესაკუთრის სათანადოდ დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ასევე მოგახსენებთ რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სანიტარულ დაცვს ორგანიზაციის პროექტში, ანტენების დამონტაჟება გრუნტის სიმაღლიდან გათვალისწინებულია 18 მეტრზე, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით აღნისნული ეწყობა 17 მეტრზე, საჭიროა აღნისნული მოვიდეს ურთიერთ შესაბამისობაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.